

ივერი

გაზეთის დასაყვებად და კერძო განცხადებებთან დასაბუქებად უნდა მიჰქარაოთ: თვითონ რედაქციას, ანაღ-ბეზუთოვის ქუჩაზე, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქოვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 — 6	6	—
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაურა.

1877—1886 წელიწადი **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერი“ 1-ლის ივლისიდან წლის დამლევამდეღირს 6 მან.

ტფილისი, 21 ივნისს

მასალისათა უცვლილი მეფე ქართლის ლუარსაბ მთიანეთის სახინოდ აღმოშვებულს. (კიკელიძის ტფილისი)

21-ს ივნისს საქართველოს ეკლესიის ადიდებს სახელს მეფის ლუარსაბისას, რომელიც ამ დღეს ეწმა შაჰ-აბაზისაგან. ლუარსაბ II მეფე ქართლისა იყო შვილი მეფის გიორგი მე-V-ისა და ლიპარიტიანთა ასულისა მარიამისა. ლუარსაბი ავიდა ქართლის სამეფო ტახტზედ მამის გარდაცვალების შემდეგ და სცხოვრებდა მეშვიდე მეფის პირველ ნახევარში. მის დროს იყო იგი სახელგანთქანი დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, რომლის მოქმედება და ქვეყნის დღესაც აუხსენებია ჩვენთა ისტორიკოსთაგან და რომელიც, იყო რა უხვად შემკული ყოვლისა სამამულო და სავაჭრო დირსებითა, დღეს აქამომდე არც ავად არის ჩვენ-მთრ დაფასებული და არც კარგად. მისი ავ-კარგიანობით აღსავსე განსაცდელიანი ცხოვრება და საოცარნი მოქმედებანი, მისნი ავად და კარგადაც აღსახსენი დიდნი საქმენი ჯერ შიგნულად გამოძიებულნი არ არიან და ელიან პირ-უთვნელს გამოკითხვას.

ხველს. ეს კი გულ-დაჯერებით სადიარებელია, რომ მისი მოუსვენარი და მღელვარებისაგან დაუცვრთმელი ცხოვრება ერთი დიდი ტრაგედიაა, განსაკვირველი და გასაოცებელი. ამ ლუარსაბის დროსვე იყო ერთი სხვა გამოჩენილი კაციც, ნუგზარ არავის ერისთავი, სიმაძრი სააკაძისა, რომლის სახელიც დღევანდლამდე სახსოვრად ჩარჩენია გულში საქართველოს ერს. ჩვენი ერთი დღესაც ნუგზარს იხსენიებს ამ საგულისხმოთა დექსით:

„ნუგზარ ერისთავის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო.“

დიდ-მოურავს სააკაძეს, როგორც ერთს უპირველესს კაცს იმ დროში, დიდი გავლენა და ზედ-მოქმედება ჰქონდა მეფის ლუარსაბის სვე-ბედზედ და თვით მთელ საქართველოზედაც. ჯერ ვსთქვათ ის, რომ დაი სააკაძის ცოლად შერთო ლუარსაბ მეფემ. აზნაურ-შვილის მოყვრობამ და ნამეტნავად აზნაურ-შვილის ქალის გადღეოფლობამ გული აუძვროს მამინდელ დიდებულს, რომელთაც ითავილეს აზნაურის ქალის დედოფლობა და ბატონობა. იქნება ყოველივე უბედურება, რაც მერე ლუარსაბ მეფეს დაატუდა, ამ მიზეზითაც შეემთხვია. დიდი მოურავი თუმცა ყოვლად ნიჭიერი კაცი იყო, ყოვლად მხნე სახელმწიფო კაცი და წარჩინებული მეომარი და სარდალი, მაგრამ ყოველივე ეს ვერ იზარტებდა

მას დაბალ ბუნებიანთა კაცთა შურისაგან. ეს ნაძირალი გრძობა ადამიანის ავ-ზნეობისა ბევრს მეტოქეს და მოპურნეს მოუპოვებდა მამინდელ დიდებულთა შორის, რომელთაც მოდგმა უფრო დიდ ღირსებად მიანდდათ, ვიდრე ნიჭი და დიდ-ბუნებიანობა. ამით თუ აიხსნება ის გარემოება, რომ ამ სახელგანთქანს დიდ-მოურავსა მრავალი მტერი აუჩნდა. მტერთა შორის ყველაზედ განვლენიანი და ძლიერი შარიდან ბარათაშვილი იყო, მამა-მძუქე ლუარსაბ მეფისა. ამან დაიყოლია მეფე და ათვალ-წუნებინა იმისთანა კაცი, როგორც იყო დიდი მოურავი. გადჭიდა მეფე დიდ-მოურავსა და დიდი მოურავი იძულებულ შეიქმნა შეჭკედლებოდა შაჰ-აბაზსა, რომელსაც ცოლად ჰყვანდა დაი ლუარსაბ მეფისა. ჩვენი ქართლის ცხოვრება ბრალსა სდებს დიდ-მოურავსა, რომ იგი აზრახებდა ევენსა დაპურობად ქართლისად.

ესე იყო თუ არა, ევენი შაჰ-აბაზი მოვიდა განჯას და დაპირა უგრძნეულად შესვლა კახეთს. კახეთის მეფემ თეიმურაზმა მოიწვია საშველად ქართლის მეფე ლუარსაბი. შეჭკრეს ამ ორმა მეფემ პირობა რომ წინააღუდგენენ შაჰ-აბაზსა და ამ პირობისამებრ მეფე თეიმურაზი მოვიდა ლუარსაბთან მუხრანს, რადგანაც ამ დროს შაჰ-აბაზიც კახეთდამ ქართლს წამოვიდა. მეფეებმა თუმცა მოიწადინეს ომისთვის მიენდოთ თავისი სვე-

ბედი, მაგრამ რა იხილეს დიდი სპა და ჯარი ევენისა, ომი ვედარ გაუბედეს და გაიხიზნენ იმერთს. იმერთის მეფემ გიორგიმ დიდის პატივით მიიღო ორივენი. შაჰ-აბაზი შევიდა გორს და აქედამ სთხოვა გიორგი მეფეს, დამითე მეფენო. გიორგიმ უარი შეუთვალა. ევენმა, ნახა რომ ძალით ადარ გაწყობა რა, ხერხი იხმარა. მოიხმო მამა მძუქე ლუარსაბ მეფისა შარიდან ბარათაშვილი, შეჭფიცა, ოღონდ ლუარსაბი მომიჯნეო და არამც თუ თავის სამეფოს მივცემო, სხვას ბევრს ნიჭსაც არ დავიშურებო: გამოისტუმრა შარიდან, საჩუქრად გამოაქანა ლუარსაბისათვის ძვრთუსად მოჭედილი ხმალი და თანაც ბარათი ლუარსაბის დისა, მოდი. ნურათურის შიში გაქვსო.

შარიდანმა დაარწმუნა მეფე, რომ ევენი ბოროტს არას შეგამთხვევსო და მეფე მოემზადა წასასვლელად. ბევრი ურჩიეს წარჩინებულთა და დიდებულთა, ნუ მიენდობი ევენსა და ნუ წახვალო, მაგრამ მეფემ ასე უპასუნა: „უკეთუ არა წივიდე, ამიერის ქვეყანასა და მოაზრებს, რა მადლი არს ჩემდა. მისული მეფე შაჰ-აბაზმა ჯერ ჩაიტყუა ტფილისს, მერე ყარაისზედ, ვითომ და სანადიროდ, სანადიროდვე გაიწვია ყარაბაღს, ყარაბაღდამ მანადარანს და აქ მანადარანში კი გამოუცხადა, უნდა უარ-ჰყოო რჯული ქრისტიანი და გამაჰმადიანდო. თუ ამას

იქმო, „დიდითა პატივითა პატივ-ქცა და მრავლითა დიდებითა განგიტოო ქვეყანად შენდაო.“ ლუარსაბ მეფემ შორს დაიჭირა და უპასუნა: „უკეთუ ყოველი ქვეყანა ჩემდა იყოს, არა თავს ვიღვა სიტუვითა და ქადაგებათა შენთა შორის-ლები, არამედ მეუფისა და დვთისა მიერ ჩემისა ნათელ მიდვიეს და მისსა მიმართ დამიცს სასოება ჩემი და, თვინიერ მისა, სხვა დამერთი არა ვინ ვიცი“.

ამის შემდეგ ხელ-ფეხ შეკრული მეფე წაიყვანეს და დაამწყვდიეს ციხეში, შვიდი წელიწადი ჰყვანდათ ესე და ცდილობდნენ გაემკვდიანენინათ, მაგრამ მეფე ესრედ მტკიცედ და შეურყევლად ჰქვდა, ვითარცა კლდე ანდაშატი და ესრედ იხილვებოდა მშვენიერი და ბრწყინვალე პირი მისი, ვითარცა ოქრო გამოდნობილი ბრძმელსა შინა და განკვირვებულ იყვნენ სიძნისსა და ახოვნებისა მისისათვის. ბევრს ურჩევდნენ მეფეს შეებრადნა თვისი მშვენიერება და სიჭაბუკე და მწართა სიკვდილითა არ მომკვდარიყო შაჰ-აბაზის უწყალო ხელითა, მაგრამ მეფემ არ უდადობა თავისი ქვეყნისა და ერის რჯულსა და არ შეუდრკა სიკვდილსა. „რა გნებავთ ყოფად ჩემდა, ჰყავთ, ეუბნებოდა თურმე შაჰ-აბაზის მოციქულთა: და აღასრულეთ ბძანებაი მისიო“. რა ნახა შაჰ-აბაზმა ესეთი სიმტკიცე ლუარსაბ მეფისა და ვედარა გააწყობა, ბძანა სიკვდილი ლუარ-

ველეტონი

სამპირაო სხარტულა

ბრძოლა ქუთაისში. — ვინ დააფუძნა იქ პირველი ქართული თეატრი? — ქუთაისის (დავით აღმაშენებელი) და მისი თავ-გადასავალი. — ეხლანდელი მოიფარადრე თეატრისა და მისი ვინაობა. — როგორ ამტყუნებდნენ და დასცინობდნენ ქუთაისელები თავიანთ თავს. — ასალი წინადადება სათეატრო ადგილის და თვით თეატრის შესახებ. — როგორ მიიღეს პირველი ეს წინადადება? — ქება და დიდება წინადადების ავტორის მიმართ. — რა დაემართა ზოლოს ამ წინადადებას? — მითქმა-მოთქმა საზოგადოებაში. — ჩვენი წინადადება საქალაქო გამგეობის წევრთა საგულისხმოდ.

ქუთაისში ბრძოლა. — იქაური ინტელიგენცია, სიმოკლისათვის სახელწოდებული ჭრაკონებად, გაყოფილია ორ ბანაკად. ერთი ბანაკი ოხრავს და ღალატებს, მეორე ღალატებს და იგინება. ეს გარაკეცებული ოხერა-ღალადი და ღალადე-გინება მიმართულია ადგილობრივის ქალაქის რჩევის წინააღმდეგ მიზეზისა გამო სხვისა-და-სხვისა, რომელთა შორის ერთი მეტად სანტერესო და საყურადღებო უნდა იყოს ჩვენთა მკით-

ხველთათვისაც. ამისთვის ყურად იხე-ნით, ბატონებო, ვედრებანი ჩემნი, ჩამოჰკიდეთ სასმენნი თქვენნი ლურსმანსა მას მესხიერებისასა და მოისმინეთ შემდეგი:

დაიწყეთ თავილამ: ქუთაისი ქალაქია, ქალაქს მიწები აქვს, მიწას მოვლა უნდა, მოვლას — ტკუა-გონება. ეს უკანასკნელი საუნჯე უხვად და გარდამეტებით მიუნიჭებია უფალს საქალაქო გამგეობის წევრთათვის (ასე ამბობენ თვითონ) და დაუჯილდოვებია მით ისინი, ცხადია, მამასადამე, რომ იმ ადგილს, რომელზედაც სდგას ესლა ქუთაისში ქართული თეატრი და რომელიც ეკუთვნის ქალაქს, პირველ თვით ქალაქის გამგეობამ განუწესა ჯეროვანი დანიშნულება. — განიშვანტოს წყვილი, იყავნ ნათელიო! — სთქვა მან დიდის ნიჭით აღესილმა და ადგილსა მას ველურსა, სადა არა იზრდებოდა რა, გარნა აწწლისა, გუმრისა და მსგავისავე ბალახ ბუღანისა, სადაც, ერთის სიტყვით, სცხოვრობდნენ და ვილდენენ „ცხოვარი და ზრახაჲ, ყოველივე პირუტყვი ველისანი, მფრინველნი ცისანი

და თევზნი ზღვისანი“, — ავებულ იქმნა ტაძარი მელპომენისა! ეს ორი უკანასკნელი ამბავი, ჩასაკვირველია, ცოტა არ იყოს გარდამეტება, poetica licentia-ა, როგორც იტყოდნენ ძველი რომაელები, ხოლო კემპარიტება კი იმასში მდგომარობს, რომ „თევზნი ზღვისანი“ სულ არ ყოფილან და „მელპომენის ტაძარის“ მაგიერ, არის ერთი სათეატრო სახლი, რომელსა უფრო დაბითურად და, — შეგვიძლია ესთქვათ, — უფრო სამართლიანადაც „ხარაზოვის ბოსელს“ ეძახიან. მაგრამ ბოსელია თუ სხვა — ეს საბაქიოდ წოდებული სათეატრო სახლი, აშენდა გამგეობის თავისნობით. მართალია, მას პირველ აქ დუქნების აშენება სწადა, მაგრამ რაკი გამოჩნდა იმისთანა კაცი, რომელმაც შამოიტანა წინადადება თეატრის აშენებისა, — გამგეობაც არა თუ არ ეწინააღმდეგა ამ წინადადებას, დიდის სიხარულითაც მიიღო. ეს კაცი, ესე იგი წინადადების ავტორი, რომელმანც დუქნებს სათეატრო სახლი ამჯობინა, იყო დავით ხარაზოვი. ეს დავით აღმაშენებელი ქუთაისისა, დღეს ხარაზოვად წოდებული, მით არის შენანიშნავი, რომ აჩუქა ქალაქს ბევრი კარგი შენობები და, დასასრულ, მი-

იღო ჯილდოდ ვიწრო და ბნელი ოთახი უპირო მოვალეთა სატუსალო სახლში... მაგრამ მაშინ, როცა იგი გამოვიდა თავის წინადადებით, ჯერ კიდევ სარ და ფულიან კაცად იყო ცნობილი და ამისა გამო ამოჩიულმა კამისამ, რომელიც „განათლებულ“ პირთაგან იყო შემდგარი, ჩამოართვა მას პირობა, რომლის ძალითაც ბნ ხარაზოვს ეძლეოდა ქალაქის მიწა ას მანათად წელიწადში, ხოლო მას უნდა აეგო სათეატრო შენობა და შემდეგ, საქიროების მოთხოვნილებისამებრ, უნდა შეეცეთე-ბინებინა და განეხლებინა. ბ-მა ხარაზოვმა კიდევ შეასრულა თავისი პირობა, თუმცა კარგად არა, მაგრამ მაინც შეასრულა: ახალი თეატრი არაფრად ჩამოგვად პარიკის ოღონს და არც არავინ აწუხებდა თავს. მისი შეცეთებისათვის, ხოლო ქართული სპექტაკლები მაინც იმართებოდნენ შიგ და საქმე ამ გზით მიდიოდა გვირიახად. ერთის სიტყვით, ბევრად თუ ცოტათი, ყველანი იყვნენ კმაყოფილნი ერთი მეორისა: რჩევა ემადლიერებოდა ბნ ხარაზოვს, ხარაზოვი — ჩჩევის და საზოგადოება კი ერთსაცა და მეორესაცა. საუბედუროდ, ამ იდილიამ დიდ-ხანს ვერ გასტანა.

მოგესხენებათ დროთა სიმუხტოლე! „შომნებდეთ მას შიშით და უგალობდეთ ძრწოლითო“, ნათქვამია. უეჭველია, ეს არ მიუღია სახეში ბნ ხარაზოვს მისთვის, რომ ერთს მშვენიერს დღეს მას მოუსხლტა ფეხი, წამოვიდა მაღლიდამ თავდაყირა და უყვავის ძეგლის მაგიერ, მიიღო წილად ის პატარა ოთახი, რომელიც ნახსენებია ზემოდ და რომელიც გულ-მეუტკივარს გულს ატყენს ხოლმე... — განიშვანტა დიდება მისი, ვითარცა კვამლი პირისაგან მზისა, სათეატრო სახლი კი გადავიდა ერთის მოვალის, ბ-ნი ვიტუშინსკის ხელში...

— ვინ არის ბ-ნი ვიტუშინსკი და რა დამოკიდებულება შეუძლია იქონიოს მან ქართულ თეატრთან? ყველამ, ვისაც ასტყეობია სტომაქი, წახდენია კუჭი, ერთის სიტყვით, ყველამ, ვისაც გამოუტყია მრავალფეროვანი მტკივნეულობა და სწეულობა კაცობრიობისა, იცის ბ-ნი ვიტუშინსკის სახელი. ამ უკანასკნელმა იცის როგორ ასწროვს ქინა-ქინა, უფრო კარგად იცის რა ფასი დასდოს მას, გვარიანად აუწრდავებს აბებს, თუ გაუკირდა საქმე, მოშლილ კუჭსაც უეჭიმებს და მიიმე სახმელს სუსტს სტო-

საბისა. როცა მივიდნენ ჯალათნი ამის ასასრულებლად, მეფემ ითხოვა, მაცადეთ სიკვდილის წინ ვილოცოვო. ნება მისცეს. დასვენება თურმე წინ ხატი დვთის-მშობლისა, რომელიცა თანა ჰქონდა და ესე შევედრა: „ჰოი დედოფალი დვთის-მშობელი, შენდამი დამიცხსასოება ჩემი; შენ ხარ ნუგეშის-მკვებელი ჩემი. შენ მომეცე შეწევნა წამების ჩემისა ამის და შემოთე წმინდათა მოწამეთა შენთა თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა, ძესა და წმიდასა სულისა“.

ამის შემდეგ მივიდნენ ჯალათნი და დაარჩვეს მშვიდდის საბლითა. ეს იყო 1622 წელს ივნისის 21-სა დღესა. გვამი ესრედ ქვეყნისა და რჯულისათვის წამებულის მეფისა ჰმარნია შირაზს.

მხოლოდ დიდ ბუნებთანა კაცთა თვისება ერთხელ რწმენილი და აღიარებული განხადან თვის სიკაცხლის საგნად და მას ქვეშ დაუგონ თავისი ცხოვრება და, თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თვისიკა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად უდირს, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სიკაცხლე. ამიტომაც მეტად არა ვსთვლით, რომ დღეს ერთი საქართველოს გამართვანი გავისვენეთ, იგი გმირი, რომელმაც სთქვა: რა მადლია თავი გადავიჩინო და ჩემი ქვეყანა მტერს ავაოხრებინო, წავიდა და წამებულის გვირგვინით შეიმოსა სახელოვანი თავი ქვეყნისა და ქრისტეს სახელითა და დღეს ჩვენ სხვა არა დავგვრჩინო-რა გარდა იმისა, რომ ბესარიონ ქათალიკოზთან ერთად ქება-დიდებათ წარმოვსთქვათ:

ყოფიდა მცნობი ბრძენი და ახოვანი მეფე ლეონსა დღეს იდიდებოდენ.

ახალი ამბავი

იოსებ ლალიაშვილს, რომელსაც სამხედრო სასამართლომ დაუ-

მაქს აღვიდად მოაწოდებინეს. ეს ყველა კარგად იცის, მაგრამ... მაგრამ თეატრის საქმისა იმდენი ესმის, რამდენიც ჩვენის სოფლის გზის ჩინეთის პოლიტიკა. როგორც ხელსაქმიანმა კაცმა, რომელსაც მთელი თავისი საცოცხლე ვაჭრობასა და აღმზრდელობაში გაუტარებია, მან ერთი რამ სასარგებლო მხარე შეამჩნია თეატრს: რაც უფრო ძვირად გააქირავენ თურმე, ისა სჯობია და რაც უფრო ცოტას დახარჯავ მის გადაკეთებისათვის, ისე უფრო სარგოა ჯიბისათვის. ამ ანგარიშის მიხედვით, სათეატრო სახლს დღეს აქირავენ იგი ქართულ თეატრის დასს ბევრად უფრო ძვირად, ვინც ეს იყო ხარაზოვის დროს, ხოლო რაც შეეხება თვითონ შენობის სიავკარგეს, მისი გამოუდგარობა წარმოდგენების გასამართვად დღეს ბრმათათვისცა ცხადია. სათეატრო სახლი ნამდვილ ბოსელოდ გადაიქცა ასე, რომ სწორედ რომ ჩინის სიმრთელე უნდა ჰქონდეს კაცს, რომ იქ ერთი-ორი საათი დაჰყო და ავად არ გახდეს... ამ ნაირად, დასასრულ, ქალაქის რჩევის საქმეები ქვეყანა-ქართულ თეატრის გაშენება, როგორც თეატრისათვის, ისე თვით რჩევისათვის-

წყვიტა ოცის წლით კატორგა, ორის დღის განმავლობაში ნება ჰქონდა, რომ საჩივარი განეცხადებინა მაგრამ რადგანც ვადა გაატარა საჩივრისა, ამიტომ განაჩენი ძალაში შევიდა და გარდაწყვეტილებას სამხედრო სასამართლოსას აღსრულებაში მოიყვანინა.

* * * საიმპერატორო წიგნთ-საცავი ამ წლის მისის დასასრულში ერთი ძვირფასის შესაწირავით კიდევ გამოდრებულა: დისტრიტონი სტატსკი სოვეტის ა. გ. ზენიგორადსკის, გავ. «Ноб. Вр.» სიტყვით, ამ წიგნთ-საცავისთვის შეუწირავს ორი ეტრატის ფურცელი, რომელიც, როგორც ეტყობა, XII, ან XIII საუკუნის ქართველ სახარებას უნდა ეკუთვნებოდეს. ერთს ფურცელზე დახატულია წამლებითა და ვარაყით მხარობელი ლუკა, რომელიც ამბობს თანა ჰზის და თავის სახარებასა სწერს, მეორე ფურცელზე გამოხატულია მაცხოვრის ჯოჯოხეთში ჩასვლა. სურათები ბერძნულ-ქართულ ყიდას ეკუთვნიან, სახის გამომეტყველება სურათებს ქართული აქვს. მეტად ნათლად არის დახატული, ალაგ-ალაგ გაფუჭებულია, მაგრამ საერთოდ რიგზედ შენახულია. ეს ორი სურათი ღირსეულს ალავს დაიჭერს წიგნთ-საცავში სხვათა ძველთა აღმოსავლეთის ნაშთთა შორის, XI და XII საუკუნის «ბიჭინტის სახარებისა» ნახატთა და აგრეთვე სხვა ქართულის სახარების სურათებთან ერთად, რომელიც თითქმის იმავე დროს ეკუთვნის და შემოწირულია ბ-ნ საბინისისგან.

* * * გუშინ, 20 ამ ივნისისას, რიყზე პოვოზკით ვიღამაც მიიტანა ნავი გადასაყრელად. ცხენი ფოტოროზე მიყენა და როდესაც პოვოზკა გადახარა ნავის გადასაყრელად, დაუტყდა ცხენს ფეხი და პოვოზკით მდინარეში გადავარდა. იქვე მეთევვეებს ნავი ჰქონდათ დაბმული და გადაარჩინეს ცხენი დარჩობას.

* * * მეტად უჩივიან სარდაფების ფანჯრებს, რომელიც გოლოვინის

ცა, უსარგებლოდ და სავალალოდ შეიქმნა. ქალაქისაგან, ობლის გამოსაკეხად, მახარაშულ თათარას არხინად მიუჯდა უზარ-მაზარის კოვხით შეიარაღებული დაუბატიყველი სტუმარი, ხოლო ობოლს, ისე როგორც თვით ქალაქის რჩევას, წილად ჰხვდა „იშტა“ ჰქონდეს და ფლავი კი სხვას ედგას წინ!..

ასე ახრებულად გათვდა გვრიანად დაწყობილი საქმე...

* * * — რა მოუხერხებოდა ამ საქმეს? — მოთმინება და კვლად მოთმინება, მეტი არაფერი!

ამ აზრისა იყო თვით ქალაქის გამგებაც, რომლის წევრნი, როგორც თეატრის გულის შემატყვიარნი, ყველაზე უფრო სწუხდნენ ჩვენს დაუდევრობაზე.

— ასე იქნებოდა, მა რა გეგონათ? მკვერ-მეტყველობდნენ ისინი ქუთაისის ბულვარზე. ჩვენ მარტო ყვირილი და ერთმანეთისათვის ფეხის წამოკრა შეგვიძლია, მეტი არაფერი! ამდენი ფულიანი კაცი ჰქონა ჩვენში და ერთი არაა მათში იმისთანა, რომ გული შესტკივოდეს საზოგადო საქმისათვის... აბა ერთი მიეციტ სადმე სახაზინო „პოლირიადი“—ჰო, ამას

პროსპექტზე გამოდის, დამტკიცებულია, სუფთად არ არის შენახული. ბევრჯელ მომხდარა ხოლმე, რომ ღამე გამეღვინეს ფეხი ჩაუარდოდეს შიგ და ერთი ამბავი მომხდარიყო.

* * * «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» გამგებობა, თვისის განჩინების ძალით 10 დეკემბრიდან 1885 წ., მადლობას უცხადებს ბ. ოღვა ნიკოლოზის ასულს ალექსეევ-მესხივისსას იმ უანგარო შრომისთვის, რომელიც მან მიიღო გასაძლიერებლად აღნიშნულის საზოგადოების ნიეთიერის ღონის-ძიებისა ახალ წერთა შექმნით და მათგან საწევრო ფულის შეკრებით.

* * * იგივე გამგებობა «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა», ძალითა თვისის განჩინებისა 19 ნოემბრიდან 1885 წ., მადლობას უცხადებს, როგორც დეკანოზს გრიგოლ მაჭარაძეს იმ უანგარო შრომისთვის, რომელიც მან მიიღო გასაძლიერებლად აღნიშნულის საზოგადოების საშუალების მისის თაოსნობით გამართულის წარმოდგენით, აგრეთვე იმ პირთა, რომელნიც დაეხმარნენ მას აღნიშნულ წარმოდგენის გამართვაში.

* * * ესევე გამგებობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა, ძალითა თვისის განჩინებისა 10 სექტემბრიდან 1885 წლისა, მადლობას უცხადებს ბ. თამარი სერგიას ასულს სარაჯიშვილისას, რომელმაც შემოსწირა საზოგადოებას ორი ქართული ხელთ-ნაწერი: ა) კარაბაღნი და ბ) ქართველთა ცხოვრება, თ. ნ. დადიანისა.

* * * «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» გამგებობავე, ძალითა თვისის განჩინებისა 3 დეკემბრიდან 1885 წ., მადლობას უცხადებს თ. ქაიხოსრო გელოვანს იმ საქველ-მოქმედო შრომისთვის, რომელიც მან მიიღო გასაძლიერებლად აღნიშნულის საზოგადოების საშუალებისა

დღის კმაყოფილებით მოჰქიდებენ ხელს, თუ გნებავსთ, ქრთამსაც არ დაზოგავენ ოღონდ-კი ხელთ ივდონ. — არა ჩვენ და არა ჩვენო! დაიწყებენ ჩხუბს და ცილაობას, სხვებისათვისაც გამოსადეგ საქმისაგან კი ღმერთმა დაიფაროსთ!.. როგორ, განა არ შეიძლება ცხლა თეატრის აღება, ხეირიანი რომ ვინმე გვეყავდეს?.. დღეს არა ხეალ გაუდის ხარაზოვს ციხეში-ჯდომის ვადა, ვიტუშინსკიც მამასადამე უნდა დასჯერდეს ქინა-ქინის წონებს და საფარაღობო ზეთის ყიდვას, რომ კაცი გვეყავდეს, მაგრამ რომ არ არის ეს კაცი?!.. არა, ბატონებო, უნდა გამოვტყუდეთ სწორედ, რომ არ ვარგივართ და არც შნო და უნარი გვაქვს არაფრისა! დაებატრონება ჩვენსას სხვა, მა რა ოხრობას იზამს და სხ.

ერთის სიტყვით, ამ გვარ „საღალადებელს“ „რჩეებს“ ბოლო აღარ ჰქონდათ. პანტა-ვაშლისავეთ აწივდნენ ქება-დიდებას ყველგან, სადაც კი აფასებდნენ ამ „რჩეებს“ და, აბა, ერთი თქვენ მიბძანეთ, მკითხველო, სად არ დაფასებდნენ? იმერლები იმისთანა გულ-სწრაფი ხალხია, რომ თუ კი ცოტა მოჰყვანენ გული და ასიამოვნე რამეთი, თუნდა ცარიელის

როგორც ახალ წევრთა შექმნით და მათგან ხვედრის ფულის შეკრებით, აგრეთვე სალიტერატურო საღამოს და ქართულის წარმოდგენის გამართვით

* * * სახეხრიდგან იწერებინ: ჩვენში მოსავალს საზოგადოდ ძალიან კარგი პირი უჩანს—ქერსაცა და პურსაცაო.

* * * გუშინდელს ჩვენს „ივერიაში“ მოთხრობილი იყო ამბავი ბორჩალოს მახრის, სოფ. გულაჯარანის მღვდლის ტერაქოფ შეგინიანცის მკვლელობა და გაცარცვა. ცხლა, გავ. „ან. მიმობ.“ სიტყვით, ეს მკვლელობა ჩაუღვინათ მძებსა ჩოფურაოვებსა

* * * ბათალაშინსკიდან მოუწერიათ, ამას წინედ აქ შემდეგი ავაზაკობა მოხდაო. ერთ ურას, რომელიც არა ჰქმარობდა თურმე იმას, რომ წერილმან საქონელსა ჰყიდა და ხალხსა ჰკლევდა, სამოცდაათი უზალთუნიანი დაუფერავს ვერცხლით და გაუსაღებია ყარაჩაველებზე ისე, როგორც ნამდვილი პოლიმპერილები 350 მანათლ. დამნაშავე დატუსალებულია.

* * * დილიქანიდამ მოუწერიათ, რომ ამ თვისის 19-ს ფოსტის გზაზე, ახტისა და ელენოვკას სადგომებს შუა, ავაზაკები დასცემიან გზად მიმავლებს და გაუცარცვათ. გაუცარცვათ ორმოცი კაცი, ორი მოუკლავთ და ერთი დაუჭრიათ.

* * * ფოთიდან გვეწერენ, რომ ამ ივნისის ორსა საქველ-მოქმედო მიზნით გაუპრთავთ წმინდა ოლგას საქალბო სასწავლებლისათვის და ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის სეირნობა და ლატარიის თამაში ბაღში. ბაღში შესასვლელად ბილეთი ღირდა ერთი აბაზი. მსურვალე მონაწილეობას იღებდა თვით საზოგადოება სეირნობის რიგინად მოწყობისათვისაო. მოსიერნე ხალხმა ბევრი ისიამოვნა და მადლობელი დარჩა. სეირნობა დაიწყო დილით, წირების შემდეგ, და გაგრძელდა ღამის სიწყვიტაც, — მის ქებას და თავ-გამოდებას სამხლარი არა აქვს.

— ისე სიმართლით მარონია ღმერთმა, რავეც მართალს გვეუბნებოდენ ჩვენი „უპრავის“ წევრები! — გაჰკიოდა ყოველ დღეს ბულვარში ყოველი თავ-გამომეტყუელი ჩოხოსანი ცალკედ. იმე! ქე რავე იქნება, შენი ქირიმე! საქმე ჩვენ ვერ დაიწყეთ და თუ თავს ვერ მოვაბამთ, ქე რაღა კაცი ვართ ქვეყანაზე?

— „უპრავა“ და „უპრავა“! — რა ქნას ამ „უპრავამაც“, თუ მე და შენ, გოგიტელა და ივანიკა, გროშად არა ვლივართ. ჰა, წასულია ჩვენი საქმე!.. ვი ნუ მაქვს მე! და სხ.

— წასულია, წასული! — დინჯად ემოწმებოდნენ მსმენელები, რომელთა შორის უფრო მოხუცებულები წინასწარ ცოდნის შორ-მჭვრეტელობით უმატებდნენ:

— თუ სასწაული რამე არ მოხდა, გლახადა ჩვენი საქმე?..

* * * ისინი ღმერთმა ქუთაისელების ვედრება და მოხდა სასწაული! მოინახა კაცი, რომელმაც ისურვა ნამდვილის თეატრის აშენება და, მამასადამე, თვით თეატრის საქმის ჯეროვან გზაზე დაყენება. ამ კაცმა შეიტანა ქ-

მის თორმეტ საათამდე. ბალი ღამა-ზად იყო მორთულ-მოკაზმულიო. გულითადი მადლობის ღირსნი არიან საღამოს გამართვანი ნინო და ალექს. პოტუხნი; ამთ გარდა მსურვალე მონაწილეობა მიიღეს ბ. ფოთის პოლიცემისტრმა თავის თანაშემწითა, ბ. ტატიშვილმა და სხვათა. ამ სეირნობიდან შემოსავალი იყო არა ნაკლებ 900 მანათისა.

ნაკვეთი

კრთს გურულს დუსტარი ცოლი ჰყავდა. ურთულად გადავიდა ქმარს: „დღეობაში წამიყვანეო“. ქმარმა ჰკითხა: „რა საქმე გაქვს დღეობაშიაო?“ ცოლმა უპასუხა: „მეტ თვალს გავასულო“.

— „შენ ვი გასულ თვალს, მარა, მე კი უნდა დავსუჭოვო“, წამოსთქვა გულ-დაწვეტილმა ქმარმა.

დაბაღ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. პატარაქული, 14 თბათვეს. ყველას ესმომება შარშანდელი მოუხელოობა, როგორათაც ქირახელისა აგრეთვე ბალახისა. უბედურობა ის იყო, რომ საქართველოს ყოველის კუთხიდან საჩივარი ისმოდა მოუსხელოობაზე, მეტადრე უბალახობამ იქამდე იკლო, რომ ხალხმა არ იცოდა რითი გამოეყება შინაური პირუტყვი. გულ-ხელ-დაკრეფილი გლეხი დღონებული შესტკროდა მშიერ საქონელს და დაკარიელებულ საძოვებს. ენტა საქონლის საქმელი მოსულიყო და ჩვენ თავს როგორც იქნებოდა, იოლად წაივლებდითო; გაიძახოდნენ იერის-ხეველები და მეტადრე პატარაქულები.

აი ამ უბალახობისა გამო შარშან რა მოხდა, ერთმა კრუამ მატყუა ხალხი, ჩვენებურები, რომ საქონელი გა-

ლაქის გამგებობაში შემდეგი წინადადება:

— თქვენ, ბატონებო, იღებთ სათეატრო ადგილში წლიურს შემოსავალს ახს მანეთს, იმავე დროს იმდენი ქალაქის საყსაზხანაო ადგილისათვის იმავე ჯამს, ესე იგი ახს მანეთს. მამასადამე, ერთს ჯიბეში ჩადებული ფული იმავე დროს და იმავე წამს იკარგება მეორე ჯიბეში... ერთი ეს ხომ ასეა, სხვა ფრივადც ცხლანდელი მდგომარეობა არაა გამოსადეგი არც თქვენთვის და არც ქართულ თეატრისთვის. ამ უკანასკნელის გაქირებებ თქვენც კარგად მოგესვენებათ: თეატრს არა აქვს შენობა და რაცა აქვს მამასისხლოდ ჰქირაობს. მამასადამე, ერთის მხრით თეატრის საქმე წყალ-წაღებულია, მაგრამ მეორეს მხრით არც ქალაქის საქმეა მანც-და-მანც მოწყობილი. ქალაქს ამდენ-ხანს არა აქვს თავისი ყსაზხანა და სხვისგან ქირაობს ამ ყამად. ეს სხვა მე გახლავარ, ის ყსაზხანა ჩემია... როგორც ქუთაისში დაბადებულ და გაზრდილ კაცებს, რასაკვირველია, გეცოდინებათ, რომ სხვა სყსაზხანა ადგილი არ მოაძებნება ქუთაისში. გინდათ, არ გინდათ, მანც იქ უნდა ჰპოკოთ საკლავი და მე მძძიოთ

მოსაკვებელ მე მომხარებო. დასწერეს პირება, უთხრა თავისი გვარი—გალო კირაკოსიანი. მაგრამ ბოლოს გამოდგა, რომ ის იყო გვარად ბალას მინასოვი. საქონელი წასხა ახალ-ქალაქის მახრავში და დაჰყიდა. შეუტყვეს ბოლოს ეს ავაზაკობა. რა კი დანიახეს რომ საქონელი ელუბებო, წავიდნენ ოთხი საქონლის პატრონი ახალ-ქალაქისკენ, რათა გამოიკითხონ და იბრუნონ ყიზღში მცხოვრებელი გალო კირაკოსიანი, რომელმაც მათი საქონელი წასხა პატარძელიდან გამოსაკვებავად. მთელი მახრა შემოიარეს ამით, მაგრამ სოფ. ყიზღი ვერ იბრუნეს, რადგანაც სოფ. ყიზღი არ არსებობს არც ახალ-ქალაქს და არც ახალ-ციხის მახრავში. ორი კვირის ძებნის შემდეგ დაბრუნდნენ დალონებულნი შინისკენ. მაგრამ გულმა არ მოუთმინათ და ერთი კვირის შემდეგ კიდევ გასწიეს ახალ-ციხისკენ. აქ მათ კითხვი-კითხვით იბრუნეს გალო კირაკოსიანი. ათფარ-ჩათფარივლეს, მაგრამ ვერ იტყნეს, ეს სულ სხვა იყო, და არა ის, ვინც მათი საქონელი წამოასხა პატარძელიდან. მხოლოდ აქ გამოჩნდა მთხრობელი, რომ სოფ. სულღაში მცხოვრებელმა ბალას მინასოვი გაატარა საქონელი ახალციხისკენ გასასყიდათ. ამ მთხრობლების შემწევობით ბალას მინასოვის სახლიც იბრუნეს, მაგრამ მას შინ ვერ მოასწორეს, რადგანაც იგი გაქცეულიყო აზროშისაკენ, რაკი შეეცყო, რომ საქონელი პატრონებს მოუკითხავით.

სასამოვენო ეს არის, რომ საქმე ჩაგარდა ახალ-ქალაქის მახრის უფროსის თ. სუმბათოვის ხელში, რომელმაც სასტიკი ღონისძიება იხმარა ქურდის დასაქურდად და როგორც ამ საქონლის პატრონთ გვიამბეს, როგორათაც თ. სუმბათოვს, აგრეთვე მათს ღელას, დიდი შემწევობა აღმოეჩინათ გლეხებისთვის ფულით და სასამელ-საქმელით. გამომძიებელს ეს საქმე გარდმოუტია თბილისის ოლქის სასამართლოში. ღმერთმა ჰქნას, რომ ეს საქმე რაც შეიძლება მალე დაბოლოვდეს; თორემ ისეც ჯერჯერ-

დაწესებული ქირა. მოდი ერთი საქმე გვქმნათ: გაცხცვალოთ ეს ადგილები! დეე! ქალაქს ჰქონდეს თავისი საკუთარი უსაბუნა და ქართულს თეატრს თავისი საკუთარი სახლი. ამ რიგად ორივე მხარე დაჰყავილიყბულეები ვიქნებით, და საზოგადოება, რომლისთვისაც ორივენი ვიღწვით, უფრო ჰყავილი იქნება.

— ჩემის კუჭისათვის, აგრეთვე როგორც სულისათვის თანასწორ იღწვიან ჩემი ამორჩეულები, იტყვის საზოგადოება და მართალი იქნება...

— თუ იმაზე შესდგებით, ბატონებო, რომ სათეატრო ადგილი მუყავულ ქალაქშია და ამისათვის უფრო ძვირად უნდა ჰღირდეს, ვინმე საყარაბუნო ადგილი, მიიღეთ ისიც სახეში, რომ ეს უკანასკნელი 12 თუ 13 ჯერ უდიდესია პირველზე, და მახსადამე ნაკლებობას თასისას გარდამეტებით აუკრებეს ნამეტანობა როდენობისა. მაგრამ, რადგანაც თავის საქმეში არაფერ არ უნდა იყოს მსაჯულად და რადგანაც არც არ იტყვის ღელა-ჩემი კუდიანი, — ნურც ერთი ჩვენთაგანი ნუ იქნება მსაჯულად; ამოვარჩიოთ მცოდნე და გამოცდილი კაცები და მივანდოთ მათ გადაწყვეტა ამ საქმისა, ეცადეთ მხო-

რობით დალუბებული საქონლის პატრონები უარესად დაილუბებინ.

ნიკოლოზი
ნ ა მ ე პ ე რ ი
(უერნალ-გაზეთისიდან)

გლადსტონი გვიმარჯვებს, თუ არა? ირლანდიას თვით-მართველობა მიენიჭება, თუ არა? — არაზედ ღვაწარაკობს დღეს მთელი რუსეთის ეურნალ-გაზეთობა. ამასთან საკვირველი ის არის, რომ თითქმის ყველანი ირლანდიის საქმეს თანუგრძობენ; ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ გლადსტონი გვიმარჯვებს. დღეს ამავე საგანს უბრუნდება გაზეთი „Современный Известия“ და ამბობს:

ინგლისში არჩევანის ბრძოლა დაიწყო და დღესვე შეგიძლიან გასწავლოთ, ვის დაჭრება გამარჯვება. ვის ეგებება ინგლისის ერთი ალტრაციზმი, ვისა უჭვდება დიდის ამბით და პატივით, ვის უტყდება თავის თანაგრძობას, ვის ამხნევებს თავის წერილებით? ღორდ სალინგტონს, ძალდატახებითი პოლიტიკის წარმომადგენელს? ღორდ გარტინგტონს, რომელიც გარემოების შეზღვევით იცვლის ხოლმე ფერს? ჩემპერლენს, რომელსაც არაფერი მტყიცე პროგრამა არა აქვს და მხოლოდ იმასა ჰქმარობს, რომ გლადსტონს წინააღმდეგობას უწევს? არა. — მხოლოდ მთავარ-მინისტრი გლადსტონია ერთადერთი კაცი, რომელსაც ყველა თანასწორ თანუგრძობს და მხარს აძლევს. ამის გულისთვის ღორდ გარტინგტონს საყვედური უთხრეს ამომრჩეველებმა. გლადსტონის განხორ-პროექტის გამო ჩამბურღენს კინაღამ უსიამოვნება არ მოუხდა თავის ბირმინგემელ ამომრჩეველებთან. — გლადსტონს ჰყავს, რომ ახალი არა უოქავსრა უკანასკნელ თავის სიტყვებში, უწინდებურად თავისი მტკვერ-მტყველობაც ვეღარ გამოიჩინა.

შეიძლება ეს ყველაფერი მართალი იყოს, ამბობს გაზეთი, შეიძლება გლადსტონი ისეც იმას იმეორებდეს, რასაც წინადა ამბობდა, მაგრამ გლადსტონს ეს მაინც ვერ დაბძვირებს.

გლადსტონი გამოვიდა ერის წინაშე და წარუდგინა თავისი ნათელი, სამართ-

ლოდ, რომ თვით საქმე დაუყოვნებლივ გათავდეს და ქალაქს არ მოაკლდეს ორ ნაირი სარგებლობა...

არ შეგიძლიან წარმოიდგინოთ, მკითხველო, როგორ მოეწონათ გამგეობის წევრებს ეს წინადადება.

— ყოჩაღ, ვარლამ! ეუბნებოდა ერთი მათგანი წინადადების ავტორს, — ოჩაღ, ბიჭო, მე და ჩემმა ღმერთმა! შენ ამ საქმით, ჩემო ძამია, სახელს მოიპოვნი სამარადისოს, სახსოვრად ძეგლს აიგებ საუკუნოს და სხე.

— დახე, დახე, ამ ყურთსაღს ამას, ჰკვირობდა თავის მხრით მეორე წევრიც, არა ღმერთსწინ დაბადებულამ, — მამა ნუ წამოწყდება ღიღ სასახურს გაუწყვე საზოგადოებას. მეორე ნულა გვეტყვით ქუთათურებს: «მოლიერის თეატრი» პარიჟში იქნება და «ვარლამისა» ქუთაისში...

ერთის სიტყვით, რალა გავაგრძელოთ, „ჰკრეს ბუკსა და ნალარასა, ბატონებს წინწილანი!“ ახლად წარდგენილი წინადადება ცნობილ იყო მესანიშნავ რამედ და მოსაწონად, ხოლო მის განხორციელებისთვის, თვით გამგეობის წევრთა სიტყვით, ქალა-

ღიანი და უტყუარი პროგრამა; ვრს გულ-ახლილად, პირ-და-პირ ეუბნება თავის აზრს და აი ეს აძლევს მას წყნობა და სიმშვიდე, ამით იზიდავს მსმენელის გულსაო. გლადსტონის მოწინააღმდეგენი ვიყვე-ლაფერს გულ-ახლილად არ აცხადებენ, ბევრსა ჰმალავენ, ლოპ-ყორეს ეცვლიან; ეტყობა თითონვე გულ-წრფულად არა სწამთ, რასაც ამბობენ.

გულ-წრფელი, ნამდვილი სიყვარული საქმისა, რომელსაც შესდგომია გლადსტონი, ასუდდგმუნებს გლადსტონს და ეს აძლევს კიდევ ასეთ დიდ ძალას ამის სიტყვასა.

საფრანგეთი აღარ ჰქმალავს თავის მძულვარებას გერმანიისადმი; შეზვდება თუ არა შემთხვევა, მაშინვე წასტიდება ხელს და გაილამკრებს, რომ გული მოიფხანოს და ნაღისაც გაუხლოვს, გაუდვიძოს ძველი ცუბრლი მძულვარებისა გერმანიის იმპერიის მიმართ, რომელმაც მას გვერდები ჩამოხთალა და აბრუ გაუტენა ევროპაში. ამას წინადა, როგორც ამბობს გაზეთი „Новости“, რუელი ძეგლი დაუდგავთ იმ საფრანგეთის შვილების სახსოვრად, რომელიც 1870 წ. გვირულად დაიბოცნენ თავის სამშობლო ქვეყნის ნსნისათვის. ამ გარემოებამ გამოიწვია გერმანიის წინააღმდეგ მოძრაობა, და აი რასიტყვა წარმოსთქვა ბ-მა დეკორდიემ მოსწავლე უმწვილეების წინაშე

ეს ახალგაზდობა ამოგვერის ჩვენის მტრის ფაერსაო. თუ როდისმე ჩვენს ქვეყანას გაუჭირდება, ეს უმწვილეები აღსდგებიან სამშობლო ქვეყნის დასაცველად. გაჭირვების დროს ჩვენ ერთის აზრით უნდა აღვიჭურვოთ: გაუმარჯოს თანხმობას და ერთობასაო. გაუმარჯოს საფრანგეთსა!

ამის შემდეგ უღაპარანია დეპუტატს ბარრეს:

ჩვენ ამ სასულაოზე იმითომ ვი არ შევივრებინოთ, რომ ვითროთ, არამედ ვადლოთ ჩვენი გვირუბი. 1871 წ. დამარცხებული ჩვენი ჯარი ეხლა განახლებული გამოვა საომრად. უნდა იგი განკარგებულია, და მართალი იყო ფრენისი,

ღის შეტანის გარდა-არაფერი არ იყო საქრო.

დასწერეს ქალაქი და შეიტანეს, სადაც ჯერ იყო, და რადგანაც გარემოება საქმისა ცხადი იყო ყველა-სათვის და დაბრკოლება არსადამ არ იყო მოსალოდნელი, ქუთათურები დარწმუნდნენ, რომ თეატრის მომავალი რიგისა ვზახედ დაადგადდესაო...

აი, სწორედ ეხლა მივხვით იმ ადგილამდე, სადაც მარხია ძალი“ და სწორედ აქ სჭირია მკითხველს „ჩამოჰკიდოს სახმენნი თვისი ლურსმანსა ზედა ყურადღებისასა.“

საქმე იმაშია, ბატონებო, რომ ღიღს ამბით გაჩახული და გამოწყობილი საქმე უცრად ჩაიფუშა სრულიად... ერთს მშვენიერს დღეს თეატრის კეთილ-მოსურნეთ გაიგეს, რომ გამგეობამ უარი სთქვა წინადადებაზე და ქართული თეატრი ისეც ქინაქინასთან და ზეთთან ერთად, შემოსავლის წყაროდ უნდა დარჩეს აფთიპის მებატრონისთვის. ხოლო ქალაქი კი — მწველ ძროხად უნდა შექმნეს იმავ არა მკითხველ-ზომამესათვისაო... როგორ? რისთვის? რა სარგებლობის-

როდესაც სთქვა: «მე იმედი მაქვს, დაგიცვა საფრანგეთი და დაგვრგვნი მისი შინაური და გარეოი მტრებიო».

ერთის სიტყვით, თრაზორები მთელტს იქნევნენ ბისმარკისაგენ. ცხადი, რომ ანგარიშების გასწორება სწავლიან.

გულ-წრფელი, ნამდვილი სიყვარული საქმისა, რომელსაც შესდგომია გლადსტონი, ასუდდგმუნებს გლადსტონს და ეს აძლევს კიდევ ასეთ დიდ ძალას ამის სიტყვასა.

უცხოეთი

საბარძმითი, დიდმა უხედურებამ, რომელიც საბარძმითის თავსუ დატრიალდა ამ უკანასკნელს დროს, ვერ დასხვარა შატრან დაუძეგადეული სასულიწიფო. იმ განსჯდელმა, რომელიც საბარძმითის ეწვიდა კერძის ძალ-მომძეობის გამო, სასაყება არ წარუქვიათ ვრს და დღეს კიდევ იმდენი ძალა ჰგოვა, რომ სმადგლათოა შატრანოქული ქველბას გამოინისა. საქმე ის არის, რომ ტრაკუნისის განხორ-პროექტი იყო ამას წინადა შატრანოქული შეტანისი. შროქტი ამბობდა, რომ საბარძმითის დიდი გავრცელება იმის გამო, რომ შატრანოქის დიდი გავრცელება და უნდა შემოიღეს რიგში დაშუტატისისა ქვეყნის სასარგებლოდ. უკლებს ეგონა, რომ ამ შროქტს არ შეეწყნაყეს შატრანოქის რადგანაც თითქმის 150 დაშუტატის დაჰგარგავდა დიდად და გამოეთსოკვლად სადუტატო ჰამაგინსაო. შროქტის შეწყნარება არ დაშუტატისის მიერ იგივე იქნებოდა, რომ თავისი სასარგებლო განახლებისთვის თავადვე მოეწერათ ხელი. თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ მაინც დაშუტატისმა დაიგწვეს თავისი კერძო სასარგებლობა, დიდ მოქალაქეობაზე გამოქვამა გამოინისეს და მიუღეს სიყვარული ძალას დააყენეს თავისი კერძო სასარგებლობა. განხორ-პროექტი ტრაკუნისის შეწყნარებულ იქნეს. როცა გამოინის ტრაკუნისის ეტლი, სახლა დიდის ალტრაციზმი მიეგება თავის გამუდმულს მთავარ-მინისტრს და სას-გრძლივის ტამის-ტამით დააჭილდაჰ ქვეყნის-მთავარე მამულის-შეილი.

ბოსნიის და ჰერცეგოვინის მიჰე კერძის ძალ-

ბოსნიის და ჰერცეგოვინის მიჰე კერძის ძალ-

თვის? მოისმა ყოველის მხრით ნმა და ელრინამული. რადგანაც თავის ნე-ბით არავინ არ იძლეოდა პასუხს ამ საკითხებზე, «პროტესტანტებმა» თვითონ მოსთხოვეს პასუხი გამგეობის წევრებს:

— თქვენ ხომ სულ სხვა ვზრისანი იყავით ამდენ ხანს ამ საქმეზე, ეხლა რა ღმერთი გაგიწყრაოთ? ჰკითხეს ერთს მათგანს.

— მე... მე... მიუგო ენა-ბორძიკით მან, მე დღეს რალაც უქვიულად ვარ და სალაპარაკოდ არ მკალიანო...

— თქვენ, ბატონო? მიუხდნენ მეორეს.

— მმე!... მმე! უბახუხა მანაც, მთელი დღე პაპიროსი ამ მომიწევია, თუ ვისმეს გაქვთ, მოამწოდეთ ერთი... მესამე, სულ კრინტიც არ ამოილო და ერთი ყურიღამ მხინილი მერრე ყურიღამ გაპარა.

მოძქობის და ბერლისის სულ-ქეწრულაბისა გამო, ჩავადდა ვესტრ-კენტიის დაჰეგაციისში. ბოსნიისა და ჰერცეგოვინისში ისე გასჭირებიათ საქმე მკვიდრთა, რომ გადასასება დაუწყვეათ და მრავად თუქმე ანუტენ სამშობლოს თავსა. სასამშობლოს გარეშე მოეფმა მამულის-შეილემა უცხო ცის-ქვეშ მიუყარეს თავი, მიიღებინა და შეაღდინეს კომიტეტი, ამ კომიტეტმა უნდა იზრუნოს, რომ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მიენიჭოს თვით-მმართველობა. ვესტრ-კენტიის რეჰეგაციის მიჰეგურ. ამ თხროვით მსურს მიჰმართოს კომიტეტმა იმ სასულიწიფოებსა, რომელთაც მიუღდნ სულ-ქეწრულაბას და მტკიცეს სელის მოწირთაო. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის, ამბობს გს-სეთა: — მაშინაც-ვე, როცა სასულიწიფოები ანუ ქველდა და სასულიწიფოების მივლამულებას კმტრხილებოდა. თვით მმართველობა ქველდა ბოსნიისა და ჰერცეგოვინისს და მღთა მივლამულებას დროსაც-ვე. ჩვენ განხორავა ვაქვს კისოვოთ სონ-თქანს, რომ მისტეს ჩვენს ქვეყნის ისეთივე თვით-მმართველობა, როგორც ადომსკლეთ რეჰეგაციის მიხიჭო და გუ-ბერნატორად დაუყენოს ჩვენსოვრისის მთავარი ნიკოლოზი და ან სხვა ვინმეო. კომიტეტს განხორავა აქვს, რომ სელი მუქმდოს სახლის გადასასლებას და განახუნას სამშობლოდამ და ამ აზრით შექტდოს თავისი გაზეთი სერბოულს, ფრანგულს და, თუ სჭირია იქნება, ოსმალურს ენაზედაო.

ინგლისი. ანჩვენების ტიპ-სელებიის დროს დიდი გავრცეება თუქმე დაადგება სოლმე იმ შოლტიკის მოღვაწეთა, რომელთაც დიდი ქონება არა აქვთ, რომ სასარგებლო სარჯს გაუძღვნენ. ამასთვის დარბის მოღვაწეთათვის ძალაან მსეღია თავისი ვანდანტობა გამოაცხადონ და მოქალაქეთა წინაშე წახდეს. ეს ამბავი უფრო ლიბერალების დასაძახის, რადგან ნაქვლად აქვთ ამ დასის წევრთ შე-ლებს. კონსერვატორები და ურბანები კი დიდ-ძალს ფუფს ატრიალებენ სოლმე ამ გვანს შემთხვევაში და სშირად ამის გამო მოაგებენ სოლმე საქმეს ანჩვენების დროსაო. ამ აზრით დაბუქვენ შეუ-

ამის შესახებ. მოგვხსენებთ, რომ ყოველს აუხსნელს და გაუგებარს საქმეს მოუხანავენ ხოლმე ჩვენში მი-ზებს და გამოაბამენ კულსა. აქაც ისე მოხდა. გამგეობის მოქმედება მიაწერეს რალაც იმ გვარ ახირებულს და ძნელოდ დასაჯერებელ მიზნებს, რომ ადვილად შესაძლებელია, ქუთაისის ამომრჩეველებს გული გაუტყდეს თავის ამომრჩეულ კაცებს. ისეც რომ არ იყოს, ქართულის თეატრის საქმე ქუთაისში ისეთი დიდი და საყურად-ღებო საქმეა მთელის იმერეთისათვის, რომ მისი მიყრუება არც ვარგა და არც მოსაწონია. ამისათვის ურიგო არ იქნება, რომ მცოდნე პირებმა, ესე იგი, გამგეობის წევრებმა, ვაზე-თის საშუალებით აუხსნან საზოგადოებას, თუ რაშია აქ საქმე, რა მი-ზეშია, რომ ქალაქი ქუთაისის თავის ხელით ჰკლავს ქართულის თეატრს... რომელიც კლმის მოსმა არავისთვის საძნელო არ უნდა იყოს, ხოლო სარგებლობა, რომელიც შეუძლია ამ გვარმა წერილმა მოიტანოს ამ შემთხვევაში, ყველასათვის ცხადია...

ველით და გიცდით, ბატონებო!

ტანის საზოგადოებათა მხარეში პრე-
კტი, რომ სარკი არჩევანის დროს
კანდიდატების კი არ იყოს, არამედ იმ
ქალქისა, თუ თემისა, სადა არჩევანის
სიღმე დასრულებულია. ლაშქარის პრე-
კტი მხარეებს შეუწყობს, მაგრამ მ-
ლიან ეფიქრებათ, რომ ლორდთა მხარე-
ტამ, რომელიც მუდამ უკან იტვირთა
წარსულისკენ, არ უარ-ჯიყოს ეს პრე-
კტი, მით უმეტეს, რომ ესეა გისაც
გლადსტონთან ბრძოლა უნდა და გამარჯ-
ვების იმედი ჰქვს, მხოლოდ თავისი სიმ-
დიდრითა აქვს ეს იმედი.

„Pall-Mall Gazette“-ს ხელის მი-
წერა გაუმართავს გლადსტონის მომხრე-
თა ამოსარჩევად საჭირო ფულის შეგ-
როგებისთვის. ლორდ ვალეისტონს
უკვე შეუწირავს ამ საქმისათვის 40,000
გირვანქა სტერლინგი, ასე უკვე უნდა,
400,000 მანათი.

საზრანბეთი. ვიდრე პრინციების გან-
დების თაობაზე პრეკტი მხარეში
იყო განსხილვად და დასამტკიცებ-
ლად, ტანტის-მამიკელთა მომხრეები ამ-
ტკიცებდნენ, რომ პრინციები სრულიად
არ ეძიებენ ტანტისა, მშვიდად სცნო-
ნებოდა და მათი განდევნა სამშობლო-
დამ დიდი უსამართლობა იქნება რესპუ-
ბლიკის მხრითა. მაგრამ როცა პრე-
კტი კანონად გასდა და პრინციები გაი-
დნენ სამშობლოდამ, ერთმა პრინციმ, ს-
სელდორ, გრძობა პრინციებს დაჰქვდა
მინიჭესტი და სრულიად აღარ დაჰმალა,
რომ ტანტის-მამიკელი ვიყავი. პრინცი,
რკი სამშობლოს მოსცილდა, ისეთ ნაი-
რად დაიწყო ღაზარკა, როგორც ღა-
ზარკობს მარტივი მოქალაქე კი არა,
არამედ როგორც წარმომადგენელი უმაღ-
ლესის სახელმწიფო უფლებისა.

დიდაც ვიდრე საფრანგეთში იყო
გრანდი პარიკელი, ძალიან თავ-დაჰკრიდა
უნდა უფილიყო, რომ სამშობლოდამ
განდევნის მიზეზი არ მიეცა მთავრობი-
სათვის; ახლა-კი, როცა ეს მიზეზი მანინ
აღმოჩნდა, რასაკვირველია, დასამალი აღ-
არ აქვს-რა.

გრანდი პარიკელი ჯერ ინგლისში იქ-
ნება, მერ ბელგიაში და შემდეგ კრო-
პში დაიწყო მთავრობისა. მოგ-
ზარკობის დროს ესტუმრება სსვა-და-სსვა
მეფეთა და სელმწიფეთა.

როცა შინაგან საქმეთა მინისტრს გა-
უგზავნა დირექტორი მშვიდობიანობის
დაცვისა ლეკელიანი გრანთან და შეუთუ-
ლია, რომ შევიდნენ ვადა მოკვთო-
ვით, თუ რამე საქმეები გაქვთ საფრან-
გეთში გასაკეთებელია, გრანს უარა უთუ-
კამს. მე სულ დიდიხვევ მიგვიჯარ და
განებებ თავს საფრანგეთსა. იმ დღესვე
მრავალი მომხრეები ეთხოვებოდნენ თურ-
მე გრანს. სხვათა შორის გამოთხოვე-
ბის 200 სენატორი და დეპუტატი. სულ
12 ივნისს, ამობუნ გასუთება, დანიშ-
ნულია ბაღში გამოთხოვება გრანისა სა-
ერთოდ ყველა თავის მომხრეებთან. მთავ-
რობა, რასაკვირველია, არ აუკრძალავს
განდევნილის პრინციის მომხრეთ ამ გან-
თხოვას.

წერილი რედაქტორის მიმართ

უფალა რედაქტორი

თქვენგან გამოცემულ პატივცემულ
გაზეთ ივერისა 123-ს №-ში იყო
დაბეჭდილი ცნობა შესახებ ბათუ-
მის დამოქრის მოხელეებისა. რომ
გაღვიკითხეთ ეს ცნობა, მივხდით

*) ამ წერილს შეუძველავდა ბეჭდავთ.
რედ.

ავტორის ცოდნის გამჭვირვადობას და-
მოქრის საქმეში. ეტყობა მას, არ
ცოდნია, რომ რუსეთში, გარ-
და ბათუმისა არც ერთს ქალაქში არ
არის დაწესებული პორტო-ფრანკო
და ამისთვის არა ეხედვით საქიროდ
მასთან ლაპარაკს. ჩვენ მხოლოდ ეს
გვაკვირებს, თუ როგორ ერწმუნა
პოტიცემულმა რედაქციამ ავტორის
ცნობას, და ინება დაბეჭდვა თავის
გაზეთში მაგ ნაირ განუჩრეველ ცნო-
ბისა, რომ ერთმა დამოქრის მო-
ხელეები შუალამისა დარბინ ქუჩებ-
ში; „ღამე კაცს არ შეუძლია თავის-
უფლად სიარული“, ამბობს ავტორი,
სულ რაღაც ექვით უყურებენო და
სინჯვენო. სტუმრად რომ სადმე იყო
და მოგივიანდეს, შინ წასვლას ვერ
გაბედავ მათის შიშითაო, სხრკევენ
მცხოვრებლებს და წამსვლელ-მო-
სვლელებს ახდევინებეს ერთს ხელ-
სახოცში ხუთ წილ ფასსაო და სხვ.
უნდა მოგესწინებოდნენ, უ. რედაქ-
ტორო, თუ ერთხელ მანც ავილიათ
ხელში დამოქრის წესდება ბათუმის
პორტო-ფრანკო-ისა, რომ ბათუმში
სუფევს თავისუფლად, უბაჟოდ ქო-
ნება ყოველივესი და დამოქრის მო-
მედება არის ბათუმდგან გამსვლელ-
თათვის მხოლოდ მზის ამოსვლიდამ
მზის ჩასვლამდის და ყოველივე გან-
ხრეკა და დასინჯვა, არამც თუ
მცხოვრებლებისა და წამსვლელ-მო-
მსვლელებისა, არამედ გემებისაც შემ-
დევ მზის ჩასვლისა აღკრძალულია;
მაშასადამე, არ უნდა ითქვას, რომ
დამოქრის მოხელეები შუალამის დროს
ეცემიან ქუჩებში თავზე გამსვლელ-
გამომსვლელებს და სინჯავენ მათ.
შემდეგ მზის ჩასვლისა—ამოსვლა-
მდის, ყოველივე დამოქრის მოქმედება
იხრება და გარდაღის სამზღერების
მცველების ხელში (въ вѣдѣніе по
граничной стражи) და ისენიც მხო-
ლოდ აღდევნებენ ყურადღებას ზღვის
ნაპირებს და პორტო-ფრანკოს წრი-
დან ქურდულად გამსვლელ კონტრა-
ბანდისტებს და არა ქალაქს და მას-
ში მიმსვლელ-მომსვლელებს. ეს ამ-
ბავი საოცარია და სამწუხარო მით,
რომ ერთად ერთს ქართულ გაზეთს
მაგ ნაირ ცნობების დაბეჭდვით ეკარ-
გება თავისი ღირსება და მნიშენ-
ლობა მკითხველების თვალში.

იმედი მაქვს, რედაქცია ამ ჩემს
წერილს მისცემს ალაგს თავის გაზე-
თის შემდეგ ნომერში, და გაასწო-
რებს თავის შეცდომას შესახებ ბათუ-
მის დამოქრის მოხელეებისა.

მმართველი დამოქრისა ლოპატო

დეკემბ

21 ივნისს

გელსინგჰოლსი. მათ იმპერატორ-
რებით უდიდებულესობათა ხელმწი-
ფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმ-
პერატრიცამ ინებეს და გაუარეს
გელსინგჰოლსის და შეჩერდნენ პარი-
ზურდთან. სადამოკე გელსინგჰო-
ლის უნივერსიტეტის სტუდენტებმა
მათ უდიდებულესობათა წინაშე
სიტყვებს რამდენიმე სავალაუბო.

ბერლინი. რადგანც მომეტებულს
ნაწილს მრეწველობისა ანა ჰუსოთ,
რომ ბერლინში გაიმართოს გამო-

ფენ 1888 წელს, ამისათვის სა-
კავშირო რჩევამ უარა განაცხადა და
არ განაცხადა ამ საქმისათვის 3 მი-
ლიონი მარკა.

ლონდონი. გლადსტონი ერთ-ხმად
იქმნა კვლავ ამორჩეული მიდლო-
სიანში.

მოსკოვი. ხელმწიფე იმპერატორ-
მა კეთილ-ინება და დაუნებნა ცსტ-
რავსკის ქვრივს 3,000 მანათი პენ-
სია, მცარე-წლოვანის შეღავს აღ-
საზრდელად, ვიდრე წყავლას შე-
სრულდება, წელიწადში 600 მან-
თი და დანახების შეღავების აღს-
ზრდელად 1,200 მანათი წელიწად-
ში.

სტამბოლი. ზორტამ დეპუტით
მოსთხოვა მთავარს ზანუსი მის მიერ
წარმოქმულის ხატვის წოგაერ-
თის აღვიღების გამო და აგრეთვე
ამ აღვიღების თაობაზე, რომელიც
კრებამ მთავრთა მთავარს. ყველა ეს
არ ეშეხანამება ოსმალ-ბოლგარის
მორიგებასა.

ლონდონი ჯერ-ჯერობით აღ-
მორჩეულ იქმნენ 52 კონსერვატო-
რი, 10 მოწინააღმდეგე ლიბერალი,
17 მომხრე სემინისტრისა და 8
ზარნელები.

საქალმწიფო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩეზ (1886) წელიწადი.
ქვეყნის შემწიდა 7394.
ქველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი — უოლ=478
წელი. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი — მს=42 წე-
ლიწადი. დაიწყო 1844 წ. და თავდება
2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები — 3.

ივნისი 30 დღით არის.

22 კვირა. მოწამე ევსევი ეპისკოპო-
სისა, სომხთა: აღების-ღამე წმ. გრიგოლ
განმანათლებლის მარხვისა. კათ. პავლინისა
და ფლავიოსისა, მუსულმ. 2 დღე ორუჯბაირა-
მისა. 12 დღე ერტუა რუსის ფარი ანაპს და
სუფერ მიიტანეს იერიში. ქალაქი ალუბულ
იქმნა 22 ივნისს დილის 8 საათზე. დატყვე-
ვებულ ოსმალის ფაშათა შორის იყო ცრუ-
წინასწარმეტყველი მანსურიც, რომელიც პე-
ტერბურგს გაიგზავნა 1791 წ. ფიცხელი
ომი გამართა ერმაიანის მიდამოთა-შო-
რის საქართველოს მთავარ-მმართველის
თავ. ციციცხვილსა და სპარსთა შუა-
სპარსნი სცდილობდნენ, რომ წყალი გა-
დაედოთ ერმაიანიდამ 1804 წ. ჭეშ.
მარტი უედაღე 12—4—6. ტფილისში
შეე ამოდის 4—30; ჩადის 7—37. მთავრე
ამოდის 7—40; ჩადის 9—25 დ.

23 დღე ორმაბათია. ქალწულ-მოწამე
აგრიპინისი. სომ. წმ. ეპიფანე კვიპრელისა,
ბაბილასი და სხვათა. კათოლ. აგრიპინისი,
ზენონისა და ზენასი. ჭეშმარიტი უედაღე
12—4—17-ს ტფილისში შეე ამოდის 4—30;
ჩადის 7—37. მთავრე ამოდის 8—48; ჩა-
2—57 დ. პოლოგონიკი კარიბინი გუმართა
განდიდამ შუშის გზით მიიღო ლისინგიჩიან
შესაერთებლად. სულ 400 ფარის კაცი
ჰყავდა. აზრად ჰქონდა სპარსნი შეეეეეეინა,
რადგანც მრავლად ახმედრებულიყვნენ და
უნდოდნო საქართველოს დასხმოდნ თავსა.
უცებ დიდ-ბელი სპარსნი დახვდნენ. კარკა-
გინმა მოიგერა სპარსნი და იარა თავისა
გზით. ამით დაისხნა საქართველო სპარსთა
თავს დასხმისაგან 1805 წელს.

გამოსაღები ცნობანი

ნისრა
1 ივნისიდან 1-ლ ივლისამდე.
თეთრი შური რუსული 1 გორ. . 5 კაზ.

Table with 2 columns: Item description and Price. Includes items like 'წითელი შური 1-ის გარისხისა' and 'ქვი-2 ხარისხისა'.

მიმოსვლა რეზის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

Large table with 6 columns: Station names, departure times, and arrival times. Includes stations like 'ტფილისი', 'ბათუმი', 'ქობულეთი', etc.

ქუთაისიდან გადის რიონს შუალის 12 საათსა და 20 წამზედ და სა-
ლაზოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდან ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და
სალამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამს შუა

Table with 6 columns: Station names, departure times, and arrival times. Includes stations like 'ტფილისი', 'სურამი', 'აქალა', etc.

განცხადებანი

კომპანია საკომბანკო კურსანდი
„ნოვატი“
უდგავდეთვის და მატებით მშობებლთა და
პირდებლთათვის.
1884-სა და 1885 წლის ყველა წიგნები, 17 № (10
წიგნი) ერთად ღირს — ქალაქში მანათი, ქალაქგარეთ
გაგზავნით 3 მან. და ათი შური. ათი შური შეი-
ლება მარტობით გამოგზავნოს, ადრენი: Тифлис.
А. С. Гудачев, Сололаки Фрейлинский, 7.

ბიზნოგრაფიული განცხადება

ლაიბეკლა
რობინზონ კრუზე, თხზულებას
დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან
ანასტასია თუმანიშვილისა. გამო-
ცემა „წერა-კითხვის გამავრცელე-
ბელის საზოგადოებისა.“
ფასი მძისი შაური
საწოლი წიგნისა არის წერა-კი-
თხვის გამავრცელებელის საზოგა-
დოების კანცელარიაში, ბანკის ქუ-
ჩაზე (Банковский переулок), სახ-
ლის № 23. ისეიდება ტფილისში:
გრიგოროვისა და ჩარკვიანის წიგნ-
თა მაღაზიებში; ქუთაისში — ძმთა
ჭილაძეების და სონში — ნესტორ
წერეთლის წიგნთა მაღაზიებში.
ვინც ნაად ფულზედ იყიდის თვით
საზოგადოების კანცელარიაში არა
ნაკლებ 10 ცალით, იმას დაეთმობა
წიგნი სუთ შაურად. (10—5)